ანტიკური რომის დიპლომატიური პრაქტიკა IV საუკუნეში

ჯამბულ აბუსელიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: jabuselidze@gmail.com

https://doi.org/10.52340/lac.2022.761

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ანტიკური რომის დიპლომატიური პრაქტიკა ხშირად განიხილება მოლაპარაკების პროცესში, როგორც საუკეთესო მაგალითი, რომელიც ობიექტური, დიპლომატიური პროცესების რეალური გამოვლინებაა. აღსანიშნავია, რომ ტენდენციებისა და ძალაუფლების ეროვნული ინტერესები მრავალფეროვნად აისახა ელჩების გაცვლაში, მათ ფორმირებასა და ფუნქციებში.

დიპლომატიური პრაქტიკის განვითარებას ხელი შეუწყო უმნიშვნელოვანესმა პროცესებმა, რომელიც სისტემური დიპლომატიური შემოქმედებით ხასიათდება.

ისტორიულმა განვითარებამ რომაული დიპლომატია ძალაუფლების ცენტრად აქცია, რომლის მთავარ ამოცანად მმართველობის პრობლემების გადაჭრა და მოლაპარაკების სიცოცხლისუნარიანობის საკითხის ცენტრად ჩამოაყალიბა. ერთი მხრივ, უცხო ქვეყნის ელჩებს საკუთარი დიპლომატიური ბუნებიდან გამომდინარე, თანასწორად ექცეოდა. მეორე მხრივ, კი დიპლომატიური ინტერესების რეალიზაციისა და წარმატებისათვის ხელსაყრელ პოზიციებს ელოდებოდა.

ანტიკური რომაული დიპლომატიის წარმატების ერთადერთი მიზეზი იყო „დიპლომატიური ლიდერის“ ანუ „პირველის“ სტატუსი. ეს პოლუსი უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა სხვა აქტორის კომბინაცია და არის ინსტრუმენტული, რომელიც მოიცავდა დიპლომატიური პრაქტიკის გეოგრაფიულ არეალს.

რესპუბლიკის პირველ ორ პერიოდს შორის, სენატის ოფიციალური როლი 14 გაგზავნილი ელჩით და 38 მიღებული მისიით წინა საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად იყო შემცირებული. სენატორები საგარეო ურთიერთობების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მესამედზე ნაკლებს ესწრებოდნენ. მართალია, სამნიტური ომების დროს კონფლიქტები იქ ხდება, რომლებიც გეოგრაფიულად ქალაქის ცენტრიდან უფრო შორს არიან თუმცა, სამნიტური ომების დროს ყველაზე მეტად სენატის როლი უფრო მტკიცდებოდა. დიპლომატიური პრაქტიკის ფუნქციონირებაში სენატორების მონაწილეობამ განსაკუთრებული მისიები იტვირთა. მართლაც, როდესაც ქალაქ რომში მოლაპარაკებები დამაჯერებლად მიმდინარეობდა გარკვეული მისიების მიღების პარალელურად.

რომაელებთან გადადგმული ნაბიჯების ნახევარზე მეტს სენატი აკონტროლებდა, ხოლო გალების მიერ რომის აღების შემდეგ ძვ.წ. 386-დან ძვ.წ 381 წლამდე, სენატი ერთადერთი იყო რომელიც ელჩების დელეგაციებს იღებდა.

სენატის მიერ ოფიციალურად მიღებული ელჩები ცხადყოფს იმ ფუნქციებს, რომლებსაც სენატორები იღებდნენ დიპლომატიურ გადაწყვეტილებებში. მიზნები განაწილებული იყო მაგრამ არათანაბრად.

რაოდენობრივად მისიები გაგზავნის მეთოდებთან შედარებულია სენატის მიერ ოფიციალურად გაგზავნილ მისიებთან.ზოგჯერ უზუსტობები უმეტესად ეხებოდა ომთან დაკავშირებულ მოქმედებებს. პარადოქსულია, რადგან ცხრა მისია, ომის გამოცხადებას ან კომპენსაციის მოთხოვნას ისახავდა მიზნად. ომი და მშვიდობა იყო სენატის პრეროგატივის ნაწილი მაშინაც კი, როდესაც ცენტურიული კომიცია ომის გამოცხადებას და სამშვიდობო ხელშეკრულებას აკონტროლებდა.

რომაულმა დიპლომატიურმა პრაქტიკამ თვისებრივად მოლაპარაკების ახალი სახეობა და პერსპექტივები ჩამოაყალიბა, რომლის საფუძველი იყო უცხო აქტორების ფორმირება, ადგილობრივებთან მოლაპარაკებები და დიპლომატიურ მოქმედებებში ეროვნული ინტერესების დომინირება. მრავალეროვნულ დიპლომატიასთან, ანტიკურმა რომმა ლოგიკურად პოპულარული გახადა პრაქტიკული დიპლომატიის ტრანსფორმაცია, რომელსაც ჰქონდა უნარი მოეხდინა კოლექტიური დიპლომატიის თვითიდენტიფიკაცია.

ანტიკური რომის დიპლომატიური პრაქტიკის განზომილებამ განსაზღვრა თავისი სპეციფიკა და მასზე, როგორც ისტორიულ პროცესზე, დიპლომატიური ჰომოგენიზა ციის და უნივერსალიზაციის კომპონენტები დამოკიდებული გახადა.

ძვ.წ IV საუკუნეში, 107 წლის განმავლობაში 160 ელჩით, დიპლომატია ჯერ კიდევ შეზღუდული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პირველი ხუთი ათწლეული, რომლის დროსაც დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის იმდენი იყო, როგორც ამ წლების განმავლობაში, 57 მოქმედება 54 წელში. მიუხედავად იმისა, რომ ელჩების გაცვლების რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. მეორე მხრივ, თანამოსაუბრეები ბევრად უფრო დივერსიფიცირებულნი იყვნენ, ვიდრე წინა საუკუნეში. საუკუნის განმავლობაში რომს 33 ახალი ხალხი და ქალაქი დაუკავშირდა, მათგან 16-ს ჰქონდა, მხოლოდ ერთი გაცვლა. მიუხედავად ამისა, ეს ახალი, უნიკალური ურთიერთობები არ ასახავდა რომის დიპლომატიური ველის გეოგრაფიულ გაფართოებას, ვინაიდან ხალხი ან ქალაქები, რომლებთანაც ურთიერთობები ჰქონდა ყოველთვის იყვნენ იტალიის ნახევარკუნძულიდან. მხოლოდ ხუთს: კელტებს, ეპიროსს, ეპიდავრუსს, შესაძლოა როდოსს და, კიდევ უფრო ნაკლებად, ბერძნულ-მაკედონურ სამეფო ოჯახის წევრებს ან არაიტალიურ სახელმწიფოს ჰქონდა ურთიერთობები რომთან [Auliard, 2006:195].

ჯ. ჰეურგონის მტკიცებით, „მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრიდან რომი შევიდა ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკაში“[Heurgon,1993:301-302]. ნებისმიერ მნიშვნელოვან გაფართოებას გარკვეული კვალი უნდა დაეტოვებინა ამ საუკუნის დიპლომატიურ საქმიანობაში, მაგრამ ზემოთ ნახსენები ხუთი ახალი თანამოსაუბრიდან ოთხს 343 წლის შემდეგ დაუკავშირდნენ [Auliard, 2006:195].

დიდი ეტრუსკული ქალაქის დაცემის შემდგომი წლებიდან, რომის მეზობლების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. მართლაც, 396-394 წლებში „ვოლსკებმა, ეკვებმა, ფლისკებმა და ყველა ეტრუსკულმა ქალაქმა მოითხოვა და მოიპოვა მშვიდობა“ (ab urbe condita,1989:5.23-27). ამ ქალაქების რომის მფარველობაში შესვლამ რომაულ დიპლომატიურ თამაშში აუცილებლად ასახა დიპლომატიის მნიშვნელოვანი პროგრესი [Humbert, 1978:152]. ძვ.წ. 391 წელს ცენტრალურ იტალიაში გალების ჩამოსვლამ გარკვეული დროით დაარღვია რომის პოლიტიკურ-სამხედრო და, შესაბამისად, დიპლომატიური ლანდშაფტი. ძვ.წ. 391-390 წლების ყველა გაცვლა პირდაპირ კავშირშია გალიის შემოსევასთან [Briquel,1999:955]. ამ მოვლენამ ხანგრძლივი გავლენა მოახდინა რომის დიპლომატიურ მეხსიერებაზე.

ძვ.წ. IV ს. გალები დაიძრნენ სამხრეთით ეტრურიაში. მოახლოებულმა საფრთხემ შეაკავშირა ეტრუსკები და რომაელები.

გალთა თარეშმა რომი დაასუსტა. ამით ისარგებლეს ვოლსკებმა, ეკვებმა და ეტრუსკებმა და ქალაქს თავს დაესხნენ. თავდამსხმელებს მხარი დაუჭირა ლათინებმა და ჰერნიკებმა, რითაც ფაქტობრივად რომაულ-ლათინური კავშირი დაიშალა. რომთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნა მხოლოდ ქ. ტუსკულმა, რისთვისაც ტუსკულანელებს მოგვიანებით რომის მოქალაქეობა მიენიჭათ, ოღონდ კომიციებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

მთელი ძვ.წ. IV ს. საუკუნის მანძილზე გალთა მხრიდან რომაელებზე და იტალიაში მცხოვრებ სხვა ხალხებზე არაერთხელ ჩამოვარდნილა თავდასხმის საშიშროება, რამაც ძვ. წ. 358 წელს კვლავ გამოიწვია რომაულ-ლათინური კავშირის შექმნა. მას შეუერთდნენ შუა იტალიაში მცხოვრები სხვა ტომებიც. სწორედ ამ კოალიციის მეშვეობით რომმა შესძლო სიძნელეების დაძლევა და ეტრუსკების და ვოლსკების შევიწროება.

თანდათან მაღლდებოდა რომაელთა საერთაშორისო პრესტიჟიც, რომაულ-ლათინური კავშირი არ იყო ერთადერთი ფედერაცია იტალიაში. შუა იტალიის მთიან ნაწილში შეიქმნა სამნიტ ტომათა კავშირი, რომლებთანაც ძვ. წ. 354 წელს რომაელებმა დადეს სამეგობრო ხელშეკრულება. ამას მოჰყვა მეგობრული კავშირების დამყარება ეტრურიის რიგ ქალაქებთან და პირველ რიგში ცერესთან [სურგულაძე, 2019:326-327].

ძვ.წ. 380-360 წლების განსაკუთრებული დიპლომატიური ვაკუუმის შემდეგ, ძვ.წ 358-დან ძვ.წ. 348 წლამდე დიპლომატიური პრაქტიკით, სამი დიდი მნიშვნელობის ხელშეკრულებით ლათინებთან, სამნიტებთან და კართაგენთან აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების განზომილება მნიშვნელოვანია, რომაული დიპლომატიური სფერო მნიშვნელოვნად არ არის გაფართოვებული, რადგან ლათინები, კართაგენელები და თვით სამნიტებიც კი არ იყვნენ ახალი თანამოსაუბრეები. წინა შეთანხმებების განახლება, სამი ხელშეკრულებიდან ორზე, ადასტურებს რომის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს, დიპლომატიური ჰეგემონი გახდეს ცენტრალურ იტალიაში. სხვადასხვა მიზეზის გამო, რომის სამ თანამოსაუბრეს სჭირდებოდა პოზიციების განსაზღვრა, მათგან ყველაზე მეტად აქტიური იყო რომი, რომელიც ძალაუფლების გაძლიერებას ცდილობდა. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლათინები, სამნიტები და კართაგენელები იყვნენ მოსარჩელეები,

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად რომაელთა ინიციატივით არცერთი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული.

ძვ.წ. 358-დან 351 წლამდე რომაული ტრადიცია გავრცელდა სხვა ქალაქებში, მათ შორის ერთგულ ცერეშიც. რომაული დიპლომატიური ტრადიცია საკმაოდ ფრთხილია დაპირისპირებების და სიმკაცრის მიმართ. რადგან ძვ.წ. 353 წლამდე რომაელებსა და ეტრუსკებს შორის პირდაპირი დიპლომატიური კონტაქტის არარსებობა ადასტურებს, რომ მეტოქეობის რადიკალიზაციას აღარ დაუშვებდა. ცერის ხარჯზე მოპოვებული გამარჯვებები ლათინური კონტიგენტების დახმარებით იყო მოპოვებული, მაგრამ რომაულმა დიპლომატიურმა პრაქტიკამ გამარჯვების სარგებელი არ გაიზიარა ცერის შეერთებაზე, როგორც ვეის ნადავლი. ფერენტინას წმინდა კორომში შეკრებილი ლათინების პასუხი რომაულ დელეგაციაზე, ნათელია: „რომს ბრძანებისაგან თავი უნდა შეეკავებინა ვისი დახმარებაც მათთვის აუცილებელი იყო.რაც შეეხება ძვ.წ. 354 წლის ხელშეკრულებას სამნიტებთან, ის ასახავს რომის მზარდ ინტერესს სამხრეთ რეგიონების მიმართ და, პირიქით, სამნიტების შეხედულებებს მათი გავლენის არეალს ჩრდილოეთ იტალიის მინდვრებზე.

ამგვარად, „სამი ხელშეკრულება ერთმანეთთან დაკავშირებულია, რომი ეტაპობრი ვად დიპლომატიურად მიიწევდა, როგორც კი შიდა ან გარე დაბრკოლება არ არსებობდა. ძვ.წ. 354 წლის ხელშეკრულება, ბევრად უფრო პოზიტიური და ალბათ, ხალხთა დიდ რაოდენობაზე გავრცელებული, პირველი იქნებოდა, რომელსაც დიპლომატიური შინაარსი ექნებოდა. ის ორი მხარის გავლენის არეალს განსაზღვრავდა და რომს მტკიცედ ნერგავდა უფრო დიდ სფეროში. აღსანიშნავია, რომ იტალიის ნახევარკუნძულ ის მასშტაბით პირველად გაფართოვდა“[Salmon, 2010:187].

ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებში შეიძლებოდა გამოჩენილიყო გარკვეული წონასწო-რობა იტალიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხთან ურთიერთობებში, მაგრამ საუკუნის II ნახევარი არანაირად არ ჰგავს სტაბილურ პერიოდს. რადგანაც რომაული დიპლომატია ძალას ეყრდნობოდა და იტალიის ჩრდილოეთით და სამხრეთით წარმატებულად ატარებდა ინტერვენციას.

ლაციუმის სამხრეთში დამკვიდრებით რომი გაუმეზობლდა კამპანიას.ეს უკანას-კნელი ეთნიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მხრივ არ წარმოადგენდა მთლიანს. ძვ. წ. IV ს. შუა ხანებში კამპანიაზე გაძლიერდა მთიელ სამნიტების თავდასხმები. იმჟამად სამნიტებსა თავიანთი ფედერაცია ჰქონდათ. თვით კამპანის დასავლეთი ნაყოფიერი ნაწილი რომაელთა ყურადღების ქვეშ მოექცა და მათაც არ გაუშვეს შემთხვევა ჩარეულიყვნენ მის საშინაო საქმეში. ძვ. წ. 343 წელს სამნიტები თავს დაესხნენ ეტრუსკთა ყოფილ კოლონიას ქ. კაპუას. ამ უკანასკნელებმა დახმარება რომაელებს სთხოვეს [სურგულაძე, 328].

კაპუელების დიპლომატიურმა ურთიერთობებმა რომთან გაერთიანება გამოიწვია. ამიტომ, მათზე გაცემული დადებითი პასუხი არ უნდა იყოს გასაკვირი, რომელიც დიპლომატიის ლოგიკური გაგრძელებაა. თუმცა, რომაული დიპლომატიური პრაქტიკის ევოლუციასთან დაკავშირებით, კაპუა მთავარ კვანძს წარმოადგენს. პირველად, კონფლიქტური კონტექსტის მიღმა, დიპლომატია შემთხვევით რეალური დიპლომატიური

მანევრის ინსტრუმენტი ხდება რომელიც გულისხმობდა, ჩარევის საბაბის გამოგონებას წინა ვალდებულებების წინააღმდეგ.

სენატი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.კონფლიქტში პირდაპირი ჩარევა არღვევდა ძვ. წ. 354 წლის რომი - სამნიტების შეთანხმებას.ა რადა, მდიდარი კამპანიური ქალაქები აშკარად მსუყე ლუკმა იყო [სურგულაძე,328]. ძვ.წ. 354 წლის ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევა არ შეიძლებოდა არალეგიტიმური ომის დაწყების რისკი ყოფილიყო, სენატმა მისი წარმომავლობა ოსტატურად შეცვალა, რათა სამნიტები გამოჩენილიყვნენ, როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე ერთადერთი პასუხისმგებელნი. კაპუელებმა, სენატორებს საშუალება მისცეს დაემტკიცებინათ, რომ იმ შემთხვევაში „თუ სამნიტები თავს დაესხმოდნენ კაპუელთა ტერიტორიას, რომელიც რომაელთა საკუთრება გახდა. რომაელებს მათი სინდისით და შეხედულებისამებრ არ ეღალატათ კაპუელებისთვის და სამნიტ ხალხთან თანასწო-რუფლებიანი აღარ ყოფილიყვნენ“ (ab urbe condita,1989:7.31). ამიტომაც გამოსავალი მალე გამოინახა. კაპუელებს მიენიჭათ თვითმმართველობის შენარჩუნებით რომის მოქალაქეობა, რითაც სენატს მიეცა „კანონიერი“ საფუძველი გამოქომაგებოდნენ. ძვ. წ. 342 წელს მარკუს ვალერიუს კოვრუსის წყალობით, რომაელებმა სამნიტებს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს, რამაც არსებითად გადაწყვიტა ომის ბედი. საზავო ხელშეკრულებით „I სამნიტური ომი“ რომაელთა გამარჯვებით და კამპანია-კაპუას დაპყრობით დასრულდა [სურგულაძე,2019:328]. ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ რომაულ დიპლომატიას შეეძლო, დიპლომატიურ თამაშებში შემოთავაზებული რესურსები გამოეყენებინა.

დაპყრობილი ქალაქების მიმართ რომაელთა სამოკავშირეო ხელშეკრულების პირობები სხვადასხვა იყო. ქალაქთა ნაწილს მიეცათ რომის მოქალაქეობა (ტუსკული, ლანუვიუმი...) სხვა ლათინი ქალაქები მართალია გაათანაბრეს რომალებთან, მაგრამ მათ მიიღეს ვაჭრობის, კერძო საკუთრების შექმნის, და რომაელებთან ქორწინების უფლება, ოღონდ სახალხო კრების და ხმის მიცემის უფლების გარეშე. მხოლოდ ორმა ქალაქმა - პრენესტმა და ტიბურმა შეინარჩუნეს მოკავშირის სტატუსი.

კაპუას დაუფლებით რომაელებს გზა გაეხსნათ ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილისკენ. აქ ისინი ჩაერივნენ ნეაპოლის საშინაო საქმეში, რასაც ძვ.წ 327 – 304 წლებში მოჰყვა მეორე სამნიტური ომი. ნეაპოლის მმართველი ფენის ღალატით რომაელები ქალაქს დაეუფლნენ.

ძვ.წ. IV ს. დასასრულისათვის რომაელების უპირატესობა ნახევარ-კუნძულზე აშკარად გამოიკვეთა. ძვ. წ. 304 წელს სამნიტები იძულებული გახდნენ რომაელებისთვს ზავი ეთხოვათ [სურგულაძე,2019: 329-330].

დიპლომატიურ პრაქტიკაში მოლაპარაკების ასახსნელად გამოყენებული ლექსიკა ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ორაზროვანი. მიუხედავად ამისა, სამშვიდობო მოთხოვნებთან დაკავშირებული უზუსტობები აუცილებელს ხდის მათი წარმოშობის ან, უფრო მეტად, მათი გაგების მცდელობას. ეს უზუსტობები მთელ საუკუნეშია გავრცელებული, ისინი ძვ.წ. 321 წლის შემდეგ, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია. თუ პასუხი დადებითი იყო საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში შეთანხმებული მშვიდობა ლოგიკურად შეესაბამებოდა ურთიერთობებს შესაბამის ქალაქებთან ან ხალხთან.

თუმცა, თანამოსაუბრეთა დაახლოებით ნახევარს, რომლებთანაც რომაელებმა მშვიდობა შეათანხმეს, ყველას რომთან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა. ეს ასევე, არის ცალკეული ქმედება, რომელიც მოწმობს ცალკეული პიროვნების ძვ.წ IV საუკუნის დიპლომატიურ პრაქტიკაზე.

წყაროები და ლიტერატურა

1. სურგულაძე კ. (2019) ძველი რომი ტომი I. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
2. Auliard Cl. (2006) La diplomatie romaine, l'autre instrument de la conquete. Édition „Presses universitaires de Rennes“ Renne.
3. Briquel D. (1999)Le mythe grec dans l'Italie antique. Édition „EFR“ Lyon
4. Heurgon J. (1993) Rome et la Méditerranée occidentale jusqu'aux guerres puniques. Édition „Presses Universitaires de France“ Paris.
5. Humbert M. (1978) Municipium et civitas sine suffragio. L'organisation de la conquête jusqu'à la guerre sociale. Édition „École Française de Rome“ Rome
6. Ливии Т. (1989) История рима от основания города. Издательство <<Н А У К А>>, Москва.
7. Salmon E.T.(2010) Samnium and the Samnites. Edition " Cambridge University Press" Cambridge

Jambul Abuselidze

Batumi Shota Rustaveli State University

Diplomatic practice of ancient Rome in the IV century

Abstract

BC. IV century Roman diplomacy facilitated the long reorganization of government, which put the practice of diplomacy in front of a difficult task. Ancient Rome ruled the multinational people through practical diplomatic skills, centered on concluding treaties with military alliances and fulfilling obligations under treaties. Such a circumstance, in turn, laid the foundation for "people-to-people" diplomacy, which sought to strengthen and change relations with dependent states and peoples through diplomatic relations.

Among other developments in the field of diplomatic practice in ancient Rome, a treaty of treaty and alliance that established a kind of ambassadors' institution, and the senate, played a crucial role in the practice of coercive diplomatic practice, most notably in the time of the Samnites. It is symbolic that almost every city that was conquered by Rome was declared its property or an ally while the people living there were forced to negotiate through diplomatic contacts and conclude a peace treaty.

Key words: Diplomatic practice, Ambassadors' Institution, Senate, Diplomatic negotiations.